ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო-

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომის ოქმი N2

თარიღი: 3 თებერვალი, 2023 წელი

დრო: 15:00 საათი

ადგილი: მერიის სხდომათა დარბაზი;

კოსტავას ქ. N20

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - ნინო ლაცაბიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

ნოდარ ღვამბერია, ავთანდილ კარანაძე, სერგო ტოპრაკაშვილი, ელზა ლეკვეიშვილი, ბელა ჯანგიძე-გოცირიძე, დავით ძაგნიძე, გივი ჭიპაშვილი, იუზა ჩუბინიძე, ზურაბ მატკავა, ნანა მოსიძე, ლიანა ჩარკვიანი, ვალერი ჯიქია, ოლეგ რიჟამაძე, თემურ დალაქიშვილი, მაია ჭიკაძე, ლაურა მირაშვილი, სოსო არეშიძე, ლეილა ციცქიშვილი, მერაბ ასანიშვილი, ვასილ ძირკველიშვილი, ნათელა მუხულიშვილი, ჯონი შანიძე, სოფო ღიბრაძე, ვანო ლეაჟავა

<u>ასევე ესწრებოდნენ:</u>

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები- კახა გურული, ბესიკ ტოგონიძე

<u>სხდომის დღის წესრიგი:</u>

1. სხდომის გახსნა: თავმჯდომარის მიმართვა
2. მუნიციპალიტეტის 2023 წლის გეგმა - პრეზენტაცია: ქალაქის მერი, ნინო ლაცაბიძე
3. საბჭოს თემატური ჯგუფების მიერ ინიციატივების წარდგენა

- სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ - ნოდარ ღვამბერიამ, რომელმაც ტექნიკური საკითხები განიხილა და სხდომას გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული თემები

- ქალაქის მერმა საბჭოს წარუდგინა 2023 წლის გეგმა.
  აქტიურად გრძელდება გარდამავალი და დაიწყება ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. განსაკუთრებული აქცენტი, ავარიული შენობების გამაგრება-რეაბილიტაციაზე, ძველი ლიფტების ახლით ჩანაცვლებაზე, საგზაო ინფრასტრუქტურის,

რეკრეაციული და საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობაზე გაკეთდება. გაგრძელდება სატრანსპორტო რეფორმაც.
ახალი პროგრამებითაა წარმოდგენილი 2023 წლის სოციალური პროექტების გეგმაც. მიმდინარე წლიდან, რუსთავის მერია, სხვა პროგრამებთან ერთად, შინმოვლის და ძუძუს ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობასაც აფინანსებს. რუსთავის მერიის სოციალური პროგრამები სულ 82 სერვისს მოიცავს.
რეფორმები იწყება სპორტის განვითარების სფეროშიც, სადაც აქცენტი ბავშვთა ფეხბურთის და კალათბურთის განვითარებაზეც გამახვილდება.
სიახლეებით გამორჩეული იქნება 2023 წელი კულტურის, განათლების ხელშეწყობისა და ახალგაზრდული პროგრამების კუთხითაც.
რუსთავის ბიუჯეტი, ამ ეტაპზე, 108 მილიონი ლარითაა განსაზღვრული.

- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის თემატური სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელმა მერაბ ასანიშვილმა სხდომას გააცნო ინიციატივები:
  - XII მ/რ-ის მიმდებარედ გარე ვაჭრობის აკრძალვა, ანტისანიტარიული მდგომარეობისა და ქუჩის გადატვირთვის გამო. ე.წ „სტამბულის ბაზრის" წინ საავტომობილო მოძრაობა იყოს ცალმხრივი.
  - მერიის წინ მდებარე მოედნის გახსნა და პირვანდელ მდგომარეობამდე მიყვანა. მოედანზე არსებული ორი შენობის (კაფის) გადატანა. მოედნის გახსნამდე საავტომობილო მოძრაობა მის გარშემო მთლიანად გახდეს წრიულად ცალმხრივი, როემლიც გაანეიტრალებს რეალურად არსებული ავტოსაგზაო შემთხვევების საშიშროებას.
  - ტრაგედიების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ყველა ლიფტი იყოს სერთიფიცირებული და შემოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ, რომლის დასახელება და ვადები თვალსაჩინოდ იქნება გამოკრული.
  - გააქტიურდეს ყურადღება ვეტერანების მიმართ, აღრიცხული იყოს თუ ვინ საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას ნერვოლოგიური, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის მხრივ. პერიოდულად განხორციელდეს კონტროლი და ანგარიშგება.
  - პარკებსა და სკვერებს მიენიჭოს დამსახურებელი რუსთაველების სახელები და დიფერენცირდეს გარკვეული ნიშნებით. დამსახურებელ რუსთაველთა სახელების უკვდავსაყოფად გატარდეს რიგი ღონისძიებები.
  - კერძო ფირმებისა და ორგანიზაციებისთვის გამკაცრდეს კონტროლი კუთვნილი და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის საკითხზე, მათ შორის სანიტარული ნორმების დაცვის მხრივ.
  - მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, გადამოწმდეს და დაიხუროს შენობების გასწვრივ სარდაფების სარკმელების ღია ჩაღრმავებები.
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს კულტურისა და სპორტის თემატური სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელმა სოსო არეშიძემ სხდომას გააცნო ინიციატივები:
  - რუსთაველის 30ა-ში მდებარე ქიმიკოსთა სპორტკომპლექსის შეობის მადგომარეობის შეფასება და განსაკუთრებით ფასადების რეაბილიტაციის საკითხის დღის წესრიგში დაყენება. მისი უკანა ფასადის ვიტრაჟებში ჩამსხვრეულია მინები და გაცვეთილია აგურის კედელი, რაც საფრთხის შემცველია.
    ყოფილი აუზის განყოფილებაში სასურველი იქნებოდა იატაკის მოწყობა კალათბურთისა და სხვა სახეობების სპორტისთვის დამატებითი ფართის გაჩენის მიზნით. უფუნქციო მდგომარეობაშია ჰელიო სისტემა.

- საყურადღებოა ქალაქის სამხატვრო სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, რომელშიც აღიზარდა რუსთაველი მხატვრების ყველა თაობა. იგი დღევანდელი მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნებს. არ აქვს საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

➢ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განათლების, მედიცინისა და სოციალური მიმართულებების თემატური სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელმა ელზა იოსავა- ლეკვეიშვილმა სხდომას გააცნო ინიციატივები:

- გადასახედია ქალაქის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საშტატო ერთეულები, რადგან არსებული ვერ უზრუნველყოფს გაზრდილ აღსაზრდელთა რაოდენობას.
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელები საჭიროებენ გადამზადებას პროფესიული ზრდის თვალსაზრისით.
- სასურველია ქალაქში ფუნქციონირებდეს უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ან რომელიმე უნივერსიტეტის ფილიალი ან ფაკულტეტები იმ სპეციალობებით, რომელიც ქალაქს სჭირდება.

➢ სხდომა მიმდინარეობდა კითხვა- პასუხისა და მოსაზრებების გაცვლის რეჟიმში. საბჭოს წევრებმა გამოთქვეს აზრი კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით და დააყენეს ინიციატივები და წინადადებები:

ნოდარ ღვამბერია: რუსთავის, როგორც თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის საკითხი . მისი კონცეფციის ქვეშ უნდა მოექცეს ლიფტების განახლების პროგრამის ფარგლებში, ადგილზე ლიფტების წარმოების განხილვა. პირველ ეტაპზე მაკომპლექტებელი ელემენტების იმპორტი და აწყობა, მეორე ეტაპზე ლიფტების სრული წარმოება.

თემურ დალაქიშვილი: ბავშვთა ფეხბურთის განვითარების აუცილებლობა და საერთაშორისო აკადემიებთან თანამშრომლობა.

ნათელა მუხულიშვილი: ახალგაზრდების თეატრთან დაახლოების აუცილებლობა. თეატრალური უნივერსიტეტისთვის ჯგუფების მომზადება ადგილზე, მოტივაციის გაჩენა სფეროთი დაინტერესებისთვის.

➢ სხდომის დასასრულს საბჭომ შეაჯამა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და განიხილა შემდგომი გეგმები.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:

ნოდარ ღვამბერია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი:

ლიანა ჩარკვიანი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

დასწრების ფურცელი

სხდომა N2 03.02.2023

	სახელი გვარი	ხელმოწერა
1	ნოდარ ღვამბერია	
2	კარლო ლეკვეიშვილი	
3	ნარგიზ ტაბატაძე	
4	ავთანდილ კარანაძე	
5	სერგო ტოპრაკაშვილი	
6	ელზა ლეკვეიშვილი	
7	ფრიდონ კენკებაშვილი	
8	მერაბ გრძელიძე	
9	ბელა ჯანგიძე- გოცირიძე	
10	დავით ძაგნიძე	
11	გივი ჭიპაშვილი	
12	მანანა კაპანაძე	
13	იუზა ჩუბინიძე	
14	ზურაბ მატკავა	
15	ნანა მოსიძე	
16	შალვა შალვაშვილი	
17	კოტე შერმადინი	
18	ლიანა ჩარკვიანი	
19	ვალერი ჯიქია	
20	ოთარ მენაბდე	
21	ლეილა აფციაური	
22	დავით ანთოშვილი	
23	ოლეგ რიჟამაძე	

24	თამარ ბუაძე	
25	გია ლეჟავა	
26	თემურ დალაქიშვილი	
27	ნინო კიკილაშვილი	
28	ნუკრი კოხრეიძე	
29	გიორგი ქოჩიაშვილი	
30	მაია გოგოლაძე	
31	ირაკლი ტაბაღუა	
32	დავით ჯიქია	
33	მაია ჭიკაძე	
34	იური ბედინეიშვილი	
35	მერაბ ტყეშელაშვილი	
36	ლაურა მირაშვილი	
37	სოსო არეშიძე	
38	თამაზ გველუკაშვილი	
39	ლეილა ციცქიშვილი	
40	გივი გოლოშვილი	
41	გოგი კახიანი	
42	ნინო გოგინაშვილი	
43	მერაბ ასანიშვილი	
44	ვასილ ძირკველიშვილი	
45	ნათელა მუხულიშვილი	
46	გოჩა შავაძე	
47	ჯონი შანიძე	
48	სოფო ღიბრაძე	
49	ზურაბ ტაბაღუა	
50	ვანო ლეჟავა	